პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №------

24 ივნისი, 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა
და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის
№13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01.05.2026, №010250020.35.123.016742), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი №2 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 24 ივნისის
№ .... დადგენილების დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა

ივსება განმცხადებლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ		
სახელი	გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
პირადი ნომერი	საკონტაქტო ტელეფონი	გყავთ თუ არა ოჯახის წევრი
		1. დიახ 2. არა
ინფორმაცია ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ		
ინფორმაცია განმცხადებლის შემოსავლების შესახებ		

განმცხადებლის რეგისტრაციის მისამართი			
ქალაქი		სოფელი	
ქუჩა/მიკრორაიონი	სახლი №	კორპუსი	ბინა №
ტელეფონი			
განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი			

ქალაქი			სოფელი	
ქუჩა/მიკრორაიონი	სახლი №		კორპუსი	ბინა №
ტელეფონი				

განმცხადებლის თანხმობა თავშესაფრით სარგებლობაზე

თანახმა ვარ ვისარგებლო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული მიუსაფართა თავშესაფარით	1. დიახ 2. არა

განმცხადებელის მოვალეობა

განმცხადებელი ვალდებულია უტყუარი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მისი ოჯახური, ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის, პერსონალურ და სხვა მონაცემებთან დაკავშირებით, აცნობოს კომისიას წარმოდგენილ მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ, მოთხოვნისამებრ წარადგინოს საჭირო დოკუმენტები და ხელი მოაწეროს შევსებულ განაცხადს. განსხვავებული აზრის არსებობისას წერილობით დააფიქსიროს შენიშვნები.

განმცხადებლის უფლება

მოითხოვოს თავშესაფრით უზრუნველყოფა; გაეცნოს მის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას; მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების (შესწორებების) შეტანა; ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

განმცხადებლის ხელწერილი

ვადასტურებ, რომ არ არსებობს ქონებრივი, საოჯახო ან/და სხვა გარემოებები, რომლებიც მომცემდა შესაძლებლობას უზრუნველყოფილი ვიყო თავშესაფრით.

გავეცანი ქალაქ უთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის № 13 დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს უსახლკაროთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და ვიღებ ვალდებულებას განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორეზე.

თანახმა ვარ („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით) უსახლკარო პირად რეგისტრაციასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების გადამოწმების მიზნით, განხორციელდეს ჩემი ფინანსური, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის, პერსონალური და სხვა მონაცემების პერიოდული გადამოწმება ნებისმიერი შესაძლო წყაროდან, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით:

სახელი	გვარი	პირადი ნომერი	ხელმოწერა	თარიღი

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა
და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის
№13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №13 დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს ამ დადგენილების №2 დანართის სათაურში ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, დანართის სათაურის ბოლოს ჩასამატებელია სიტყვები: „განაცხადის ფორმა“, ისე როგორც ეს ამ დადგენილების მე-2 მუხლშია მოცემული. აღნიშნულიდან გამომდინარე, №2 დანართის სათაური ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“.

2. დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიზანია საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №13 დადგენილების №2 დანართის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

3. დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

აღნიშნული ცვლილებით საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №13 დადგენილების №2 დანართი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ამ დადგენილების მე-2 მუხლთან.

4. დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

წინამდებარე დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

5. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ერემეიშვილი.

6. დადგენილების პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვარლამ გობეჯიშვილი.

7. დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი ვარლამ გობეჯიშვილი.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი